



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

29 ივნისი 2026



N 446/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### ქალაქ რუსთავში შპს „ელბა ექსპორტი“-ს კირისა და კომბინირებული სასუქის საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ელბა ექსპორტი“-ს მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილი იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობა - ქ. რუსთავში შპს „ელბა ექსპორტის“ კირისა და კომბინირებული სასუქის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია (სააგენტოს 26/09/2023 წ. №486/ს ბრძანება „ქ. რუსთავში შპს „ელბა ექსპორტის“ კირისა და კომბინირებული სასუქის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“).

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული კირისა და კომბინირებული სასუქის საწარმოს მოწყობა გათვალისწინებულია ქალაქ რუსთავში, მშვიდობის ქუჩა №12-ში, შპს „ელბა ექსპორტი“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 02.07.01.801; 9245 მ<sup>2</sup>). საწარმოს სამუშაო რეჟიმად განსაზღვრულია წელიწადში 300 დღე, დღე-ღამეში 24 საათი, ხოლო წლიურ წარმადობად – 45 000 ტონა კირის (დღე-ღამეში 150 ტონა) და 86 400 ტონა კომბინირებული სასუქის (დღე-ღამეში 288 ტონა) წარმოება. კომბინირებული სასუქის წარმოებისთვის ნედლეულის სახით გათვალისწინებულია 17520 ტონა სასუქის, 15512 ტონა ფოსფორის, 5512 ტონა კალიუმის და 47856 ტონა თაბაშირის ფილერის, ხოლო კირის წარმოებაში – 75 000 ტონა კირქვის გამოყენება. ამასთან, კირის წარმოების ხაზზე ძირითად საწვავად გათვალისწინებულია ბუნებრივი აირის გამოყენება, რომლის წლიური ხარჯი შეადგენს 1 008 000 მ<sup>3</sup>-ს (საათში 140 მ<sup>3</sup>), ხოლო სარეზერვოდ გათვალისწინებულია ქვანახშირის (ანტრაციტი) გამოყენება, რომლის წლიური ხარჯი შეადგენს 9 000 ტონას (საათში 1,25 ტონა).

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს განთავსების ტერიტორიის 500-მეტრიან რადიუსში განთავსებულია სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების ობიექტები, მათ შორის, აღმოსავლეთით, დაახლოებით 120 მეტრში განთავსებულია შპს „ჯეო ენტერპრაიზი“-ს მეტალურგიული საწარმო, ხოლო სამხრეთით, დაახლოებით 260 მეტრში – შპს „პოლივიმი“-ს პლასტმასის ნარჩენების აღდგენის საწარმო. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოდან დაშორებულია დაახლოებით 1,4 კილომეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს „ელბა ექსპორტი“ გეგმავს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებას, რაც კირის წარმოების წარმადობის გაზრდას და საწარმოში მოსაყენებელი ძირითადი საწვავის ცვლილებას, ასევე სასუქების საწარმოს გაუქმებას გულისხმობს. კერძოდ, კირის საწარმოს წარმადობის გაზრდა მოხდება სამუშაო

დღეების რაოდენობის 300-დან 360 დღემდე გაზრდით, რის შესაბამისად კირის საწარმოს წლიური წარმადობა 45 000 ტონიდან 54 000 ტონამდე გაიზრდება. გაზრდილი წარმადობის პირობებში კირის საწარმო წლიურად გადასამუშავებელი ნედლეულის (კირქვა) რაოდენობა 75 000 ტონიდან 91 800 ტონამდე გაიზრდება. რაც შეეხება საწარმოში გამოსაყენებელი ძირითადი საწვავის ცვლილებას, ბუნებრივი აირის ნაცვლად ძირითად საწვავად საწარმოში ქვანახშირი (ანტრაციტი) იქნება გამოყენებული, ხოლო ბუნებრივი აირის გამოყენება მოხდება სარეზერვოდ. გაზრდილი წარმადობის შესაბამისად, საწარმოში გამოყენებული ქვანახშირის (ანტრაციტი) წლიური რაოდენობა 9 000 ტონიდან 10 800 ტონამდე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სარეზერვოდ გამოყენებული ბუნებრივი აირის ხარჯი 1 008 000 მ<sup>3</sup>-დან 8 208 000 მ<sup>3</sup>-მდე (საათში 950 მ<sup>3</sup>) გაიზრდება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კირის საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი აქვს მავნე ნივთიერებების, კერძოდ, აზოტის დიოქსიდის, ჰვარტლის, გოგირდის დიოქსიდის, ნახშირბადის ოქსიდის, ასევე არაორგანული მტვრის გამოყოფას და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. ვინაიდან ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით საწარმოში ძირითად საწვავად ბუნებრივი აირის ნაცვლად ქვანახშირის (ანტრაციტი) გამოყენება გათვალისწინებული, ამასთან დაგეგმილია კირის საწარმოს წარმადობის გაზრდა, ექსპლუატაციის პირობის ცვლილება მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, დაკავშირებული იქნება ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან გაზრდასთან (როგორც ხარისხობრივი, ასევე თვისობრივი მონაცემის შესაბამისად), რაც სათანადო შესწავლას და შეფასებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას მოითხოვს.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან (ექსპლუატაციის პირობის ცვლილება) დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქალაქ რუსთავში შპს „ელბა ექსპორტი“-ს კირისა და კომბინირებული სასუქის საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ **გ ზ შ -ის ანგარიშის წარდგენას საჭიროებს.**
2. შპს „ელბა ექსპორტი“ ვალდებულია, კოდექსის 7<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ელბა ექსპორტი“-ს.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ელბა ექსპორტი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/446-21-4-202606290942>

